

ნაპოლეონისადმი მიძღვნილი „სპარსული ყასიდის“ ავტორობის შესახებ

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში შევხებით პარიზის ენებისა და ცივილიზაციის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სპარსული ხელნაწერების კატალოგში (Ms. pers. 136, N 44) დაცული ხელმოუწერელი და დაუთარიღებელი ხელნაწერის, „სპარსული ყასიდა 19 ბეითი ნაპოლეონის სადიდებლად“ (*Qasida persan 19 bayts à la gloire de Napoléon*), ავტორობის საკითხს. სათაურის მიხედვით ყასიდა ნაპოლეონის ხოტბას გულისხმობს, მაგრამ ცხრამეტივე ბეითიდან ნათლად ჩანს, რომ ის თანაბრად ეხება როგორც ნაპოლეონს, ისე ირანის შაჰს – ფათჰ-ალის. *Qasida persan* სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი ენითაა დაწერილი, საესეა მეტაფორებით და ხაზს უსვამს მისი ავტორის მიერ სპარსული ლიტერატურის კარგ ცოდნას.

ის ფაქტი, რომ ყასიდაში მონარქთაგან ჯერ ნაპოლეონია დასახელებული და შემდეგ ფათჰ-ალი შაჰი, გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი ფრანგია. ვის შეეძლო დაეწერა ეს ყასიდა? ამ საკითხის გასარკვევად შევხებით XIX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობების საკითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სათაურით „სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობა“ (*Tableau général de la Perse moderne*), რომელშიც შეტანილია „სპარსული ოდის თარგმანი მისი უდიდებულესობა ნაპოლეონ I-ის ფრანგების იმპერატორის იტალიის მეფის პატივსაცემად“ (*Traduction de l'Ode Persane en l'honneur de S. M. Napoléon Ier Empereur des français et Roi d'Italie*). ეს ხელნაწერი დათარიღებულია 1807 წლით და მას ხელს აწერს XVIII დასაწყისში ირანში დაფუძნებული რუსოთა ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელი, ფრანგი დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე, აღმოსავლეთში აღზრდილი ჟოზეფ რუსო. რომელმაც შესანიშნავად იცოდა სპარსული, თურქული, არაბული ენები და რომელიც აღმოსავლური ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე იყო. „სპარსული ყასიდა 19 ბეითი ნაპოლეონის პატივსაცემად“ შინაარსის მიხედვით ვვარაუდობთ, რომ ის ნაპოლეონის ტახტზე ასვლამდეა დაწერილი. ნაპოლეონს უამრავი ლექსი თუ ოდა მიძღვნეს, მაგრამ „სპარსული ყასიდა“ და „სპარსული ოდა“ ამ თემაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებებია.

საკვანძო სიტყვები: *სპარსული ყასიდა, ნაპოლეონი, ფათჰ-ალი შაჰი, საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობები, სპარსული ოდა, ჟოზეფ რუსო*

„Persian qasida“-ს შინაარსი. პარიზის ენებისა და ცივილიზაციის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში დაცულ სპარსული ხელნაწერების კატალოგში არის ერთი ხელმოუწერელი და დაუთარიღებელი ხელნაწერი, რომელიც კატალოგში მითითებულია შემდეგი სათაურით: „ნაპოლეონის სადიდებელი 19 ბეითიანი სპარსული ყასიდა“ (*Persian qasida 19 bayts to the glory of Napoleon*)¹. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში დაცული თურქული და სპარსული ხელნაწერების კატალოგი ორ ტომად მოამზადა და 2014 წელს გამოაქვეყნა ცნობილმა ფრანგმა

¹ *Qasida persane de 19 bayt à la gloire de Napoléon*. Ms. pers. 136, doc. 44. Catalogue sommaire et provisoire des manuscrits persans et turcs des fonds de la bibliothèque universitaire des langues et civilisations (BULAC).

აღმოსავლეთმცოდნემ, ფრანსის რიშარმა. მისი ვარაუდით, M Ms. pers. 136 შიფრით გაერთიანებული დოკუმენტები შეკრიბა ჟოზეფ ჟუანენმა², რომელიც მეორე რესტავრაციის შემდეგ (1815 წ.) საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის პოლიტიკური განყოფილების არქივარიუსი იყო და 1816 წელს სამეფო ბიბლიოთეკას სპარსული ხელნაწერები გადასცა³. ბ-ნ ფრანსის რიშარს მაღლობას მოვახსენებთ ამ აქამდე შეუსწავლელი *Persian qasida*-ს მოწოდებისათვის.

„სპარსული ყასიდა“. ხელნაწერში „სპარსული ყასიდა“ სამ რიგად არის წარმოდგენილი. პირველ და მეორე რიგებში ექვს-ექვსი ბეითია, მესამეში – შვიდი. პირველი რიგის პირველ ბეითში ლოკალიზებულია გვირგვინოსნისა და მმართველის სამართავი არეალები – დასავლეთი და აღმოსავლეთი. მეორე ბეითში გაცხადებულია ამ მმართველების ვინაობა: დასავლეთის გვირგვინოსანი ნაპოლეონია, აღმოსავლეთისა – შაჰინშაჰი ანუ ნაპოლეონის თანამედროვე სპარსეთის სუვერენი – ფათჰ-ალი შაჰი. მესამე ბეითში ორივე პერსონაჟი წარმოდგენილია მეტად ძლევამოსილ პიროვნებად, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ბეითებში მოცემულია მათი ხოტბა.

პირველი რიგი

بمغرب تاجدارى عدل پرور
بمشرق شهریارى دادگستر

1. დასავლეთში ერთი გვირგვინოსანია სამართლიანი
აღმოსავლეთში ერთი მმართველია სამართლიანი

يكى در رتبه ناپليون اعظم
يكى از پايه شاهنشاه اكبر

2. ერთი - დიადი ნაპოლეონის რანგში

ერთიც - დიადი შაჰინშაჰის რანგში
بچين اندر ازان در ناله خاقان
بروم اندر ازين در مويه قيصر

3. ჩინეთში მისგან ოხრავს ხაყანი
რომში მისგან ტირის კეისარი

يكى نورند گويى در دو خورشيد
يكى روحند گويى در دو پيكر

4. თითქოს ერთნაირი შუქი არიან ორი მზისა
თითქოს ერთნაირი სული არიან ორ სხეულში

يكى ماه منور در دو گردون
يكى شاه فلک فر در دو کشور

5. ერთნაირი ნათელი მთვარე ორ ცაზე
ერთნაირი ცის გამაბრწყინებელი ხელმწიფე ორ ქვეყანაში

سپرى فر و منش در دو دارا
جهانى داد و دانش در دو داور

6. ბრწყინვალეებისა და განსჯის ფარი ორ ხელისუფალში
სამართლისა და ცოდნის სამყარო ორ მსაჯულში

² *Qasida persane de 19 bayt à la gloire de Napoléon*. En calligraphie Nasta'liq non signée. Papier blanc à filigrane à armoiries. 282 x 400 mm (Catalogue sommaire et provisoire des manuscrits persans et turcs des fonds de la bibliothèque. Ces manuscrits sont conservés à la Réserve de la B.U.L.A.C. Inventaire établi par Francis Richard, 2014, 87)

³ ჟოზეფ-მარი ჟუანენი (1783-1844) 1806 წლის ნოემბრიდან 1807 წლის დეკემბრამდე – ირანში 1807-1809 წლებში საფრანგეთის სრულუფლებიანი და საგანგებო მინისტრის, გენერალ გარდანის ჩასვლამდე, – თეირანის კარზე საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული, შემდეგ კი ამ მისიის პირველი დრაგომანი იყო. ირანში იგი ფრანგთაგან ყველაზე დიდხანს, 1806 წლის ნოემბრიდან 1809 წლის ოქტომბრამდე, სამი წლის მანძილზე იმყოფებოდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ჟოზეფ ჟუანენის მრავალი წერილი და მოხსენებითი ბარათი (Archives du Ministère des Affaires étrangères, Correspondances Politiques, Perse, vol. 11. doc. 181, f. 308r; vol. 12-14).

მეორე რიგში, მეშვიდე, მეცხრე და მეთერთმეტე ბეითებში ორივე მონარქი ძლიერ პიროვნებად არის წარმოდგენილი. მერვე ბეითში მინიშნებაა საფრანგეთ-სპარსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობაზე, მეათე ბეითში მათ საერთო მტრად რუსეთი და ინგლისი უნდა ვიგულისხმოთ⁴. მეთორმეტე ბეითში ნაპოლეონი შედარებულია შემტევ ვეშაპთან (ნიანგთან, ურჩხულთან), რაც ეგვიპტის ექსპედიციაზე მიანიშნებს, ხოლო მძვინვარე ლომი ფათჰ-ალი შაჰია – აქ თურქული წარმომადგენის ყაჯართა ტომის ახალი დინასტიის სპარსეთის წარსულ დიდებასთან დაკავშირების აშკარა მცდელობაა.

მეორე რიგი

یکی در جوهر اجرام پرتو
یکی بر گردش افلاک محور

7. ერთი - ციურ სხეულთა ჯაგარის შუქია

ერთი - ცარგვალის ბრუნვის ღერძია

از آن نیرو با این در دشت و در کوه
ازین یاری بآن در بحر و در بر

8. ერთი მეორეს ძალას მატებს ბარსა და მთაში

მეორე პირველს მხარში უდგას ზღვასა და ხმელეთზე

یکی در کینه چون پیچنده تنین
یکی در حمله چون غرنده تندر

9. ერთი - მტრობაში ვით დახვეული გველი

ერთი - შეტევისას ვით მგრგვინავი მეხი

بداندیشان این زان راز و حیران
هم آوردان آن زین خار و مضطر

10. ერთის ავისმზრახველნი მეორისგან - დამალული და გაოგნებული

ერთის მტრები მეორისგან - დამცირებული და შეწუხებული

یکی در دشت کین جوشنده دریا
یکی در پشت زین سوزنده آذر

11. ერთი მტრობის ველზე - ბობოქარი ზღვა

მეორე ცხენზე ამხედრებული - მწველი ცეცხლი

به دریا آن نهنگ حمله آرا
بهامون این هزبر کینه گستر

12. ზღვაში ის შემტევი ვეშაპია (ნიანგი, ურჩხული)

მინდვრად ეს მძვინვარე ლომია

მესამე რიგის მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ბეითებში კვლავ ორივე მმართველის ხოტბა და მათ შორის დამყარებული კეთილი ურთიერთობაა აღნიშნული, მეთექვსმეტე ბეითში ნახსენები ნილოსი ნაპოლეონის ეგვიპტის ექსპედიციას უკავშირდება, ხოლო მტრობის ცეცხლში რუსეთ-ირანის პირველი ომი (1804-1813) იგულისხმება. მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე ბეითებში ავტორი „ორივე გულანთებულ მმას“ ღმერთის შეწევნითა და დახმარებით ხანგრძლივ მბრძანებლობას უსურვებს.

მესამე რიგი

از آن مغرب چو مشرق صبح دلکش

⁴ იგულისხმება საფრანგეთის წინააღმდეგ მესამე კოალიციის მომზადება და რუსეთ-ირანის პირველი (1804-1813) ომის დასაწყისი, რომელშიც ფათჰ-ალი შაჰს ინდოეთში თავისმა მეზობლებმა, ინგლისელებმა, დახმარება არ აღმოუჩინეს. შაჰმა ინგლისთან 1800 წელს დადებული კონვენცია გააუქმა და თავრიზის ბეგლარბეგის, აჰმედ ხანისა და ეჰმიაძინის კათოლიკოსის, დავითის, რჩევით ნაპოლეონს წერილი მისწერა და მას რუსეთის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა (Archives du Ministère des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Perse, vol. 7, doc. 41, fol. 108r; Jean-Baptiste Dumas, Un fourrier de Napoléon vers l'Inde: les papiers du Lieutenant Général Trézel (Paris: Henri Charles-Lavauzelle – Éditeur militaire, 1915), 31).

از این مشرق چو مغرب شام دلبر

13. მისით დასავლეთი ემსგავსება აღმოსავლეთის საამო დილას
ეს კი აღმოსავლეთს გადააქცევს დასავლეთის წარმტაც საღამოდ

یکی فر خدایی راست مظهر
یکی ذات الهی راست مظهر

14. ერთს {ადგას} ღვთიური შარავანდედი ჭეშმარიტად გამოვლენილი
მეორეს {აქვს} ღვთიური ბუნება ჭეშმარიტად გამოვლენილი

هم آنرا مهر این همواره در دل
هم این را شور آن پیوسته در سر

15. იმასაც მუდამ აქვს ამის სიყვარული გულში
ამასაც მუდამ აქვს მისდამი ღტოლვა გონებაში

یکی در نیل هیجا رود عمران
یکی در آذر کین پور آذر

16. ერთი ნილოსის ომში შევა ვით ემრანი (მუსა)
ერთი მტრობის ცეცხლში შევა, ვით ძე ცეცხლისა (აბრაამივით)

بشرق و غرب یارب جاودان شاد
بمهر هم دو روشن دل برادر

17. აღმოსავლეთით და დასავლეთით, ღმერთო, უკუნისამდე ზედნიერი {ამყოფე}
სიყვარულში {ამყოფე} ორივე გულანთებული ძმა

جهانرا این دو جاودان خداوند
خداوند جهان شان یار و یاور

18. მსოფლიოში ეს ორი მუდამ იყოს მბრძანებელი
თავიანთი სამყაროს ღმერთის შეწევნითა და დახმარებით

هم آنرا اوج گردون باد اورنگ
هم این را مهر تابان باد افسر

19. მისი ვარსკვლავიც იყოს ცის ზენიტში
ამასაც მანათობელი სიყვარული ედგას გვირგვინად

ნუსხაში მითითებული სათაურის – „სპარსული ყასიდის“ – მიხედვით, ყასიდის შინაარსი ნაპოლეონის ხოტბას უნდა გულისხმობდეს, მაგრამ სამ რიგად განაწილებული ცხრამეტივე ბეითიდან ნათლად ჩანს, რომ ის თანაბრად ეხება ნაპოლეონსაც და ირანის შაჰს – ფათჰ-ალისაც. ამიტომ გასაკვირია, რატომ არის ყასიდა ასე დასათაურებული, მითუმეტეს, რომ ორიგინალს სათაური არ აქვს. ცხრამეტივე ბეითში ნაპოლეონიც და ფათჰ-ალი შაჰიც ბრწყინვალე, სამართლიან და ღვთიური შარავანდედით მოსილ მონარქებად არიან წარმოდგენილები. ის ფაქტი, რომ ყასიდაში მონარქთაგან ჯერ ნაპოლეონია დასახელებული და შემდეგ შაჰინშაჰი, გვაფიქრებინებს, რომ მისი ავტორი ფრანგია. „სპარსული ყასიდა“ სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი ენითაა დაწერილი, სავსეა მეტაფორებით, რაც მის მთავარ ორნამენტს წარმოადგენს და ხაზს უსვამს ავტორის მიერ სპარსული ენის კარგ ცოდნას.

„სპარსული ყასიდის“ სავარაუდო ავტორი. როდის და ვის შეეძლო დაეწერა ეს დაუთარილებელი და ხელმოუწერელი ყასიდა, რომელიც თანაბრად ეძღვნება ნაპოლეონს და ფათჰ-ალი შაჰს? ამ საკითხის გასარკვევად შევხებით XIX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობების საკითხს.

XIX საუკუნის დასაწყისში ინდოეთზე ლაშქრობის გეგმაში ნაპოლეონმა სტრატეგიული მოკავშირის ფუნქცია ირანს მიანიჭა. ამ ლაშქრობის დიდი მომხრე, ბაღდადში საფრანგეთის კომერციული ურთიერთობების კომისარი, ჟან-ფრანსუა ქსავიე რუსო (1738-1808), 1804 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრს, ტალეირანს, ნაპოლეონთან ურთიერთობის დასაწყებად ფათჰ-ალი შაჰის მზაობის შესახებ ატყობინებდა; იმპერატორის სურვილის შემთხვევაში, ჟან-ფრანსუა რუსო მზად იყო თეირანში

გასამგზავრებლად და იქ ორმხრივი ურთიერთობის საჭირო ნიადაგის მოსამზადებლად. იგი ითხოვდა, რომ მას ხლებოდა თავისი ვაჟი ჟოზეფი – ყველა აღმოსავლური ენის მცოდნე 24 წლის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკვე ჰქონდა დიპლომატიური სამსახურისათვის შესაფერისი გამოცდილება.⁵

აქ ისმის კითხვა, სად შეისწავლა ახალგაზრდა რუსომ ასე კარგად აღმოსავლური ენები?

რუსოთა ოჯახი ირანში XVIII საუკუნის დასაწყისში დასახლდა: ჟენეველი მესაათე, იუველირი, ჰუგენოტი ჟაკ რუსო (1679-1753) 1705 წელს ლუი XIV-ის მიერ შაჰ სოლთან-ჰოსეინთან (1694-1722) გაგზავნილ ელჩობას გაჰყვა, ისპაჰანში დარჩა, ცოლად სომეხი ქალი შეირთო და თავისი ერთადერთი ვაჟი, ჟან-ფრანსუა ქსავიე, კათოლიკედ აღზარდა. ჟ.-ფ. რუსო, მამის გარდაცვალების შემდეგ ისფაჰანიდან ბანდარ-აბასიში წავიდა, სადაც მომგებიანი სავაჭრო ოპერაციებით დიდი ქონება მოიხვეჭა, 1756 წელს ბასრაში საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოადგილე გახდა. მისი მეცადინეობის შედეგად, 1770 წელს ქერიმ ხან ზენდმა (1760-1779) საფრანგეთს ჰოლანდიელების მიერ 1766 წელს მიტოვებული კუნძული ხარქი გადასცა.⁶ ჟ.-ფ. რუსო სპარსული პოეზიის იმდენად შესანიშნავი მცოდნე ყოფილა, რომ ქერიმ ხანი მას ხშირად იწვევდა თავის „ხალვათში“ ფირდოუსის, საადისა და ჰაფეზის ნაწარმოებების დეკლამირებისთვის.⁷

1771 წელს ჟან-ფრანსუა რუსომ ცოლად შეირთო ან-მარი, ცნობილი დრავომანის, ჟოზეფ საიდის, ქალიშვილი. საიდები, სირიელი კათოლიკეები, თარჯიმნები იყვნენ, რაც მამიდან შვილზე გადადიოდა. მათი წინაპარი, ისფაჰნელი კათოლიკე დაუდ საიდ ისფაჰანი (1612-1684)⁸ სპარსული ენის თარჯიმნად მსახურობდა ლუი XIII-ის კარზე. ხელნაწერის სახით დარჩა მისი რამდენიმე თხზულება და ფრანგულ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი. დაუდ საიდ ისფაჰანმა ჟილბერ გოლმანთან ერთად სპარსულიდან თარგმნა „Anwār-e sohayli“ – ინდური და ახლო აღმოსავლეთის იგავ-არაკების – პანჩატანტრა, ქილილა და დამანა, ფილფაიას იგავ-არაკების ყველაზე სრულყოფილი ვარიანტიდან, 1644 წელს პარიზში – „სინათლის წიგნი ანუ მეფეთა მმართველობა“ (*Le Livre des Lumières ou la Conduite des Roys*) – სათაურით დაიბეჭდა.⁹

ამგვარად, გასაკვირი არ არის, რომ ბაღდადში აღზრდილმა ჟოზეფ რუსომ (1780-1831), შესანიშნავად შეისწავლა არა მხოლოდ სპარსული, თურქული, არაბული და სომხური ენები, არამედ ლევანტის ისტორია და ლიტერატურა. თავისი ვაჟის ცოდნით ამაყი ჟ.-ფ. რუსო 1802 წელს თავის ძველ მეგობარს, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს საქმეთა რწმუნებულს, პიერ რუფენს¹⁰, სწერდა: „ერთი წლის განმავლობაში ჩემი ვაჟი ძლიერ დახელოვნდა სპარსულში,

⁵ AMFAE, CP/Perse vol. 8, doc. 64, fol. 182r-189v.

⁶ Jean Calmard, “France, ii. Relations with Persia to 1789”, *Encyclopædia Iranica*, X, 2000, 126-130; Florence Hellot-Bellier, France – Iran, quatre cents ans de dialogue. Avec le concours de L’UMR 7528 “Mondes iranien et indien”. *Studia Iranica*. Cahier 34. Association pour l’avancement des études iraniennes (Peeters Press, 2007), 56-87.

⁷ AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 165, fol. 399r; Sylvestre de Sacy, *Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à Alep le 12 mai 1808. Précédé de quelques détails curieux et intéressants sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle* (S. l. 1810), 2-3; J.-B. Louis Jacques Rousseau, *Voyage de Bagdad à Alep* (1808), publié d’après les manuscrits inédit de l’auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris (Paris: J. André, 1899), vii-x.

⁸ Francis Richard, “Aux origines de la connaissance de la langue persane en France,” *Luqman: Annales des Presses universitaires d’Iran* 3, no. 1, 1986-1987, 29; Vincent Hachard and Bernard Hourcade, Hachard, Vincent, Hourcade, Bernard. “FRANCE xii (a). Iranian Studies in France: Overview”, *Encyclopaedia Iranica*, X/2, 162-167; Régis Pluchet, André Michaux 1782-1785, *L’extraordinaire voyage d’un botaniste en Perse* (Toulouse: Privat, 2014), 29, 208).

⁹ Francis Richard, “Quelques collectionneurs français de manuscrits persans au XIXème siècle”, *Luqmān*, Annales des Presses Universitaires d’Iran, Revue semestrielle, dixième année, numéro 1, automne-hiver, 1993-94, 59; Pluchet, André Michaux, 31.

¹⁰ პიერ-ჟან მარი რუფენი (1742-1824) – ცნობილი ფრანგი დიპლომატი და თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე. 1742 წელს დაიბადა სალონიკში, სადაც მისი მამა საფრანგეთის საკონსულოს დრავომანი იყო. პიერ რუფენმა

თურქულადაც მეტად გამართულად და ნატიფად თხზავს (épitre) და წერს. ბაღდადში მყოფი ამ ორივე ენის მცოდნენი ჭეშმარიტად გაოცებულნი არიან იმის გამო, რომ ახალგაზრდა ფრანგმა ასე კარგად შეისწავლა მათი სხვადასხვა მეცნიერებები“.¹¹

ფრანგი ისტორიკოსის, ანრი დეერენის ცნობით, ახალგაზრდა რუსო მეტად ამბიციური ყოფილა. ის საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის, ტალეირანის, ყურადღების მიქცევასაც ეცადა: 1806 წლის 27 თებერვალს პიერ რუფენმა მინისტრს გაუგზავნა რუსოს მიერ იმპერატორისადმი მიძღვნილი *სპარსულ ენაზე* დაწერილი ოდა, რომელსაც ახალგაზრდა რუსოს საქმბარი წერილი დაურთო.¹²

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ რუფენისთვის გადაცემული *სპარსულ ენაზე* დაწერილი ოდა უნდა იყოს პარიზის ენებისა და ცივილიზაციის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის კატალოგში დაცული ხელნაწერი „სპარსული ყასიდა“, რომელიც მას შემდეგ დაიწერა, რაც საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრმა, ტალეირანმა, 1804 წელს ჟან-ფრანსუა რუსოს ირანის შესახებ თხზულების დაწერა დაავალა და რომელზე მუშაობას იგი 1805 წლის ზაფხულში მინისტრისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ადასტურებდა.¹³

„სპარსული ოდა“. იმპერატორის კარისაგან შორს მყოფი რუსო-მამა ჩქარობდა ნაპოლეონის გააქტიურებული აღმოსავლური პოლიტიკით სარგებლობას. მას სურდა, რომ ნაპოლეონის სამსახურში მყოფი აღმოსავლური ენების თუნდაც მცირერიცხოვან მცოდნეთა შორის დაწყებული კონკურენციის პირობებში, თავის სიცოცხლეშივე მყარად უზრუნველყო ერთადერთი შვილის მომავალი დიპლომატიური კარიერა და კვლავ სცადა მისი სათანადოდ წარმოეჩნა. ამას გვაფიქრებინებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული, 1807 წლით დათარიღებული ხელნაწერი, სათაურით „თანამედროვე სპარსეთის ზოგადი დახასიათება ანუ ცნობები ამ იმპერიის ამჟამინდელი გეოგრაფიული, ისტორიული და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ (*Tableau général de la Perse moderne ou mémoire géographique, historique et politique sur la situation actuelle de cet Empire*). მას ხელს აწერს ჟ.-ბ. რუსო-ვაჟი იგივე ჟან-ბატისტ-ლუი-ჟაკ რუსო, რომელიც უფრო ხშირად ჟოზეფ რუსოს სახელით იხსენიება. ამ თხზულებას პროლოგად უძღვის სახელმწიფოს მართვის შესახებ საადის (1184-1290) სიტყვების რუსოსეული ფრანგული ვარიანტი.

ამ თხზულებაში შეტანილია ჟოზეფ რუსოს ოდა, სათაურით „სპარსული ოდის თარგმანი მისი უდიდებულესობა ნაპოლეონ I-ის, ფრანგების იმპერატორის, იტალიის მეფის პატივსაცემად“ (*Traduction de l'Ode Persane en l'honneur de S. M. Napoléon I^{er} Empereur des français et Roi d'Italie*). ის ორი ნაწილისგან შედგება – პირველში 53 ბეითია, მეორეში – 17. ორივე ნაწილს ერთვის რუსოს განმარტებები.¹⁴ ამ „ოდის“ დაწერის გამო ჟოზეფ რუსო წინასიტყვაობაში წერს: „ჩემს თავს ნება მივეცი წინამდებარე თხზულება სპარსული ოდის *თარგმანით* დამეწყო, რომელიც ჩვენი უავგუსტოესი სუვერენის ტახტზე ასვლის აღსანიშნავად დავწერე და რომელსაც რამდენიმე სხვა სტროფიც დავუმატე მისი უდიდებულესობის მიერ ახლახან ავსტრიელებსა და რუსებზე (2.12.1805)¹⁵ მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად. (...) ჩემმა გატაცებამ აღმოსავლური

1758 წელს წარმატებით დაამთავრა „Collège royale de Louis-le-Grand“-ი და მას შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ოსმალეთის იმპერიაში საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურში იდგა (Henri Dehérain, *La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate*, I-II (Paris: Libr. Orientaliste P. Geuthner, 1929-1930), I, 3, 5).

¹¹ Jacques Duchesne-Guillemin, „France ix. Image of Persia and Persian literature among french aurrhors“. *Encyclopaedia Iranica*, X/2, 150-154.

¹² Henri Dehérain. Le Consul orientaliste Joseph Rousseau (1780-1831), premier article. In: *Journal des savants*, Novembre-décembre 1935, 270.

¹³ Nicole Gotteri, Antoine-Alexandre Romieu (1764-1805), général et diplomate // *Revue drômoise, archéologie, histoire, géographie*, t. 88, trimestriel, N°469, Paris, 1993, 517-518.

¹⁴ AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol.62r-69v.

¹⁵ იგულისხმება აუსტერლიცის ბრძოლა.

პოეზიით, რომელიც მუდმივად აღმფრთოვანებს, აგრეთვე ზოგიერთი სპარსელი მეგობრის გამხმევებამ, რომელთაც უეჭველად სურდათ ჰქონოდათ მისი უდიდებულესობა იმპერატორისადმი მიძღვნილი ჩემი ხოტბის რაღაც ფრაგმენტი, დაძლია ჩემი ბუნებრივი მოკრძალებულობა და მიზიდვა იმ წამოწყების მიმართ, რომელიც აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობებს. აი ის ორი მიზეზი, რომელმაც წარმოშვა ეს ოდა და რომლის ფრანგულ ვარიანტსაც აქ წარმოვადგენ¹⁶.

„სპარსულ ოდაში“ რუსო ხოტბას ასხამს საფრანგეთის იმპერატორს, მას საფრანგეთის ტირანიისაგან მხსნელს უწოდებს და მარენგოს ბრძოლაში (14.06.1800) მეორე კოალიციის არმიაზე გამარჯვების გამო, კეისარს ადარებს. „ოდაში“ შეტანილია ირანის თემაც: „ნაპოლეონის დიდება გრგვინავს მიწაზე და ზღვაზე! მან ყანდაპარისა და სისტანის საზღვრებსაც კი მიაღწია“. რუსო ნაპოლეონს შაჰნამეს გმირებს – ჯამშიდსა¹⁷ და რუსტამს¹⁸, ადარებს. ირანი შედარებულია ლომთან: „ზურგგაბრწყინებული ლომი ამაყად არხევს დიდ ფაფარს სიხარულის ყიჟინაზე, რომელმაც უძველესი პერსეპოლისის ქალიშვილის, თეირანის, კედლებამდე მიაღწია“. რუსო განმარტავს, რომ ლომი ზურგზე ნახევარმხით სპარსეთის ძველი გერბი იყო. ეს ბეითი ეხება აუსტერლიცთან (2.12.1805) ნაპოლეონის გამარჯვებას, რომლის ამბავმა თეირანსაც მიაღწია და ფათჰ-ალი შაჰმა ბრძანა ხალხთან ერთად ამ ამბის საზეიმოდ აღნიშვნა.¹⁹ ოდეზში ნახსენებია რუსოთათვის უმნიშვნელოვანესი, ინდოეთზე ლაშქრობის, თემაც: „თუმცა ინგლისელები საფრანგეთის იმპერატორის შიშით კანკალებენ, ისინი ჯერ კიდევ დასამარცხებლები არიან“. „სპარსული ოდის“ უკანასკნელი აბზაცი მაჟორულ-ამბიციურ ნოტზე მთავრდება – „ევროპა ნაპოლეონისაგან კვლავ ახალ გამარჯვებებს მოელის“. „ოდაში“ ახალგაზრდა რუსო მხოლოდ ნაპოლეონის ხოტბით არ იფარგლება. მინისტრ ტალეირანს იგი ასაფს ადარებს და განმარტავს, რომ მუსლიმი პოეტები თავიანთ განათლებულ და გაწაფულ მინისტრს, სოლომონის ამ ცნობილ მინისტრს ადარებენ.²⁰ საგანგებო სტრიქონები ეძღვნება იმპერატრიცა ჟოზეფინას, რომელსაც მონარქის უავგუსტოეს თანამგზავრსა და იმპერიის ბადის ვარდს უწოდებს.²¹ „ოდაზე“ დართული შენიშვნები ხაზს უსვამს ჟოზეფ რუსოს მიერ აღმოსავლური ლიტერატურის კარგ ცოდნას. ეს ოდა დასავლურ-აღმოსავლური ლიტერატურული ნაწარმოებების შერწყმისა და ამ ორი კულტურის ორგანული სინთეზის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია, რომლის მსგავსი თემაზე, ალბათ, არც შექმნილა.

ზემოთ აღნიშნულ თხზულებაში ჟოზეფ რუსო სპარსული პოეზიის თემასაც შეეხო. მისი თქმით, ის ყოველთვის იყო სპარსელთა მშვენება, რომელსაც ისინი ბუნებრივ მაგიას უწოდებდნენ. ევროპულ პოეზიასთან შედარებით, მათი პოეზიის უპირატესობა სპარსულ ენაში არსებული მეტად უხვი და მოქარგული გამონათქვამები იყო, რაც მათი ენის სიმდიდრეს არაბულიდან ნასესხებმა მრავალმა სიტყვამ შესძინა. სპარსულ ენას იგი მეტად რბილს, მოხდენილსა და ჰარმონიულს უწოდებს, სპარსელი პოეტების კომპოზიციების სინატიფესა და მოხდენილობას კი ვერც ერთი იდიომა ვერ შეედრებოდა. საადი, ჰაფეზი, ჯამი და ირანის ყველა სხვა ლირიკოსი პოეტი

¹⁶ AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 60r.

¹⁷ ჟოზეფ რუსოს განმარტება: „სახელგანთქმული ჯამშიდი, სპარსეთის ერთ-ერთი უძველესი მეფე, ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ავიდა ტახტზე და სიტყვით მიმართა თავის ჯარისკაცებს; ისინი მისი დიდებული ბედისა და კეთილშობილი ნაკვთების გამო უფრო გაოცდნენ, ვიდრე იმ ელვარე თვლებისა, რომლითაც ის იყო შემკული, და აღტაცებულებმა შესძახეს: აი მზე, რომელიც ამოდის, რათა მოგვფინოს კეთილისმყოფელი სხივები“ (Ibid, fol. 66v).

¹⁸ ჟოზეფ რუსოს განმარტება: „შაჰნამეს ერთ-ერთი გმირი, რომელსაც სპარსეთის ჰერაკლედ მიიჩნევენ. მას ბერძენთა გმირის მსგავსად, რამდენიმე საგმირო საქმეს მიაწერენ. სხვა გმირობებს შორის, კეტით (გურზი) სცემა გოლიათებს“ (Ibid, fol. 65v).

¹⁹ Ibid, fol. 66v.

²⁰ Ibid, fol. 63r.

²¹ Ibid, fol. 64v.

დაჯილდოებული იყო ანაკრეონის, ოვიდიუსისა და ჰორაციუსის სადარი სიტამამით. ფირდოუსის „შაჰნამეს“ კი ისეთივე მყარი რეპუტაციის მოპოვება შეეძლო, როგორც ჰომეროსოს „ილიადას“.²²

ჟოზეფ რუსოს ეკუთვნის ფათჰ-ალი შაჰისა და მისი კარის პოეტების მეფედ წოდებული, ფათჰ-ალი ხანის, რამდენიმე ყაზალის ფრანგული თარგმანი და კომენტარები. ეს ყაზალები შეტანილი ანთოლოგიაში, სათაურით „ქებათა სამკაულები“ (*Zinat al-madaih*), რომლის ერთი ეგზემპლარი ფათჰ-ალი შაჰს გენერალ გარდანისათვის უჩუქებია. მათი ფრანგული თარგმანი 1809 წელს პარიზში გამოქვეყნებულ ჟოზეფ რუსოს რელაციას²³ ერთვის. მასვე ეკუთვნის ნიზამი განჯევის „ხოსრო და შირინის“ შინაარსის გადმოცემა 1813 წელს პარიზში დაბეჭდილ თხზულებაში.²⁴

ფათჰ-ალი შაჰისა და ფათჰ-ალი ხანის ენისგან განსხვავებით, „სპარსული ყასიდა“ უფრო ლაკონიურია. მისი შინაარსი არა მხოლოდ სახოტბო, არამედ საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველია და ამდენად მას პოლიტიკური დატვირთვაც აქვს.

დასკვნა. 1807 წლის 12 აპრილს ირანში ჟოზეფ რუსო ირანში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, გენერალ კლოდ-მატიე გარდანის მისიის მეორე მდივნად დაინიშნა.²⁵ ბალდადიდან ირანში ის 1807 წლის 25 ოქტომბერს ჩავიდა. თავისი მამის, ჟან-ფრანსუა რუსოსთვის, გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ თეირანიდან 14 ფარსახის დაცილებით ფათჰ-ალი შაჰმა მის დასახვედრად 350-400 მხედრის თანხლებით თავისი პირველი მინისტრი, მირზა რეზა, გაგზავნა. 28 ოქტომბერს გამართულ აუდიენციაზე შაჰმა ჟოზეფ რუსო დიდი კეთილგანწყობით მიიღო, ესაუბრა ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ, რამდენჯერმე მოიკითხა მისი მამა, ჟან-ფრანსუა რუსო. შაჰი ძლიერ გაოცებული ყოფილა, რომ ახალგაზრდა რუსომ ასე კარგად იცოდა სპარსული და თურქული ენები და მას მონაცვლეობით ესაუბრა ორივე ენაზე. ამავე წერილში რუსო წერს, რომ სასახლეში ნანახი სიმდიდრის გამო მას ვერ გაებედა შაჰისათვის იმ მცირე საჩუქრების მირთმევა, რაც ჰქონდა.²⁶ იმის შესახებ, თუ რის მირთმევას ფიქრობდა ჟოზეფ რუსო შაჰისთვის და იყო თუ არა ამ საჩუქრებს შორის ყასიდაც, უცნობია.

ნაპოლეონის შესახებ უამრავი ლექსი თუ ოდაა დაწერილი, მაგრამ აღნიშნული „სპარსული ოდა“ და „სპარსული ყასიდა“ ამ თემაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებებია.


²² Ibid, fol. 116v-118v.

²³ J. B. Louis Jacques, Rousseau, Description du pachalik de Bagdad, suivi d'une notice historique sur Wahabis, et de quelques autres pièces relatives à l'histoire et à la littérature de l'Orient. Paris: Treuttel et Würtz - Libraires, 1809.

²⁴ J. B. Louis Jacques Rousseau, Extrait d'un itinéraire en Perse, par la voie de Bagdad, Paris, L'imprimerie de J. B. Sajou, 1813.

²⁵ AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 85, fol. 184r-184v.

²⁶ AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 156, fol. 272r, 272v, 173r.



ნაპოლეონის სადიდებელი 19 ბეითიანი სპარსული ყასიდა

Persian qasida 19 bayts to the glory of Napoleon

Ms. pers. 136, doc. 44. Catalogue sommaire et provisoire des manuscrits persans et turcs des fonds de la bibliothèque universitaire des langues et civilisations (BULAC).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა - References:

1. *Archives du Ministère des Affaires étrangères, Correspondances Politiques, Perse*, vol. 8: doc. 64, 165; vol. 9, doc. 85, 156; vol. 11. doc. 181; vol. 12-14.
2. *Archives du Ministère des Affaires étrangères, Mémoires et Documents, Perse*: vol. 6, doc. 19; vol. 7, doc. 41.
3. Calmard, Jean. "France, ii. Relations with Persia to 1789". in: *Encyclopædia Iranica*, X, 2000, 126-130.
4. *Catalogue sommaire et provisoire des manuscrits persans et turcs des fonds de la bibliothèque*. Ces manuscrits sont conservés à la Réserve de la B.U.L.A.C. Inventaire établi par Francis Richard, 2014, Ms. pers. 136, N 44, p. 87.
5. Dehérain, Henri. Le voyage du consul Joseph Rousseau d'Alep à Bagdad en 1807, *Syria. Archéologie, Art et histoire*, Année 1925, 6/2, Librairie Paul Geuthner, 1925, 174-167.
6. Dehérain, Henri. *La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate*, I-II, Paris: Librairie Orientaliste Paul Geuthner, 1929-1930.
7. Dehérain, Henri. Le Consul orientaliste Joseph Rousseau (1780-1831), premier article. In: *Journal des savants*, Novembre-décembre 1935, 268-274.
8. Duchesne-Guillemin, Jacques. "France ix. Image of Persia and Persian literature among french aughors," *Encyclopaedia Iranica*, X/2, 150-154.
9. Dumas, Jean-Baptiste. *Un fourrier de Napoléon vers l'Inde: les papiers du Lieutenant Général Trézel*. Paris: Henri Charles-Lavauzelle – Éditeur militaire, 1915.
10. Gotteri, Nicole, Antoine-Alexandre Romieu (1764-1805), général et diplomate // *Revue drômoise, archéologie, histoire, géographie*, t. 88, trimestriel, N°469, Paris: 1993, 476-564.
11. Hachard, Vincent, Hourcade, Bernard. "FRANCE xii (a). Iranian Studies in France: Overview," *Encyclopaedia Iranica*, X/2, 162-167.
12. Hellot-Bellier, Florence. France – Iran, quatre cents ans de dialogue. Avec le concours de L'UMR 7528 "Mondes iranien et indien". *Studia Iranica*. Cahier 34. Association pour l'avancement des études iraniennes. Peeters Press, 2007, 56-87.
13. Joseph Jouannin et Jules Van Gaver, *Histoire de Turquie*. Avec des notes. Paris : Imprimerie de Firmin Didot Frères, 1840.
14. [Nericiat] Examen critique du voyage en Perse de M. le colonel Gaspard Drouville dans les années 1812-1813, par M. le Baron de Nericiat, dans: *Bulletin de Société de Géographie*, XXX, Paris, 1825, 216-232; [Nericiat] Extrait de la traduction fait par M. le Baron de Nericiat d'un Mémoire de M. de Hammer sur la Perse, // *Recueil de voyage et de mémoire publié par la société de Géographie*, t. II, Paris MDCCCXXV (1825), 247-344.
15. Richard, Francis. "Aux origines de la connaissance de la langue persane en France," *Luqmān: Annales des Presses universitaires d'Iran* 3, no. 1, 1986–87, 23-42.
16. Richard, Francis. "Quelques collectionneurs français de manuscrits persans au XIXème siècle", *Luqmān: Annales des Presses Universitaires d'Iran*, Revue semestrielle, dixième année, numéro 1, automne-hiver, 1993-94, 53-67.
17. Pluchet, Régis. *André Michaux 1782-1785, L'extraordinaire voyage d'un botaniste en Perse*. Toulouse: Privat, 2014.
18. Rousseau, J. B. Louis Jacques. *Description du pachalik de Bagdad, suivi d'une notice historique sur Wahabis, et de quelques autres pièces relatives à l'histoire et à la littérature de l'Orient*. Paris: Treuttel et Würtz - Libraires, 1809.
19. Rousseau, J. B. Louis Jacques. *Extrait d'un itinéraire en Perse, par la voie de Bagdad*. Paris: L'imprimerie de J. B. Sajou, 1813.

20. Rousseau, J.-B. Louis Jacques. *Voyage de Bagdad à Alep (1808)*, publié d'après les manuscrits inédit de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris. Paris: J. André, 1899.
21. Sacy, Sylvestre de. *Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à Alep le 12 mai 1808. Précédé de quelques détails curieux et intéressants sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle*. S. d., 1810.